ევროკავშირის საბჭო, თავმჯდომარეობის დასკვნები. ევროპული საბჭოს 2008 წლის 1 სექტემბრის დამატება

ბრიუსელი, 2008 წლის 15 და 16 ოქტობერი

(....)

21. ევროპული საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ რუსეთის ჯარები გამოვიდნენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ზონებიდან და მიიჩნევს ამ ფაქტს 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებების შესრულების მნიშვნელოვან ნაბიჯად, აგრეთვე ჟენევაში საერთაშორისო მოლაპარაკებების დაწყებას, რასაც ითვალისწინებს ეს შეთანხმებები. ევროპული საბჭო სთხოვს კომისიას და საბჭოს განაგრძოს სიღრმისეულად შეფასება ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობების მომავალი სამიტის გათვალისწინებით, რომელიც დაგეგმილია ჩატარდეს ნიცაში 14 ნოემბერს. ეს მიიღება მხედველობაში რუსეთთან პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებების დროს.

22. ევროპული საბჭოს განსაზღვრული აქვს, კონკრეტულად თავისი სამეზობლო პოლტიკის მეშვეობით, განაგრძოს აღმოსავლელი მეზობელების მხარდაჭერა ეკონომიკური მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის მისაღწევად მათ მიერ მიმართულ ძალისხმევაში. ევროპული საბჭო ამ მიმართებით აღნიშნავს ევროკავშირ-უკრაინის პარიზის სამიტის შედეგის მნიშვნელობას და მოუწოდებს ევროკავშირს და მოლდოვის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ურთიერთობების გამყარებისაკენ, საბჭოს 13 ოქტომბრის დასკვნების შესაბამისად. ის მოუწოდებს საბჭოს ჩაატაროს წინადადებების თავდაპირველი შესწავლა ევროკავშირის სამომავლო "აღმოსავლური პოლტიკისთვის", რომლის წარდგენსაც კომისია აპირებს ნოემბერში.
(www.europa.eu)